

ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის
სამსახურში მისაღებად რექტორის 2023 წლის 12 იანვრის N3/10-01 ბრძანების საფუძველზე
გამოცხადებული კონკურსის ჩატარების უზრუნველსაყოფად უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის N1/2023 დადგენილების საფუძველზე დამტკიცებული
კომისიის სხდომის

№4 ოქმი (შემაჯამებელი)

ქ. თბილისი

“2“ მარტი 2023 წ.

13.00 საათი, თსუ I კორპუსი, აუდიტორია №201

სხდომას ესწრებოდა კომისიის 5 წევრიდან 5 წევრი:

თსუ პროფ. ირმა რატიანი, თსუ ასოც. პროფ. ეკატერინე ნავროზაშვილი, სსუ პროფ. მარიამ
მირესაშვილი, თსუ პროფ. კონსტანტინე ბრეგაძე, თსუ ასოც. პროფ. სოლომონ ტაბუცაძე.

დღის წესრიგი:

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი
ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში პროფესორის
სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსში შეფასების პირველი და მეორე
ეტაპების შედეგების განხილვა, ურთიერთშეჯერება და შეჯამება.
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარის, თსუ პროფესორ ირმა რატიანის ინფორმაცია საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტის შეფასების ორივე ეტაპის შედეგების შეჯამებისა და კენჭისყრის შედეგების შესახებ. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და შეაჯამეს კონკურსის ორივე ეტაპი და ფარული კენჭისყრის შედეგები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის 1 საკონკურსო თანამდებობაზე საბუთები შემოიტანა 1 კანდიდატმა - ანა ლეთოდიანმა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების პირველ ეტაპზე I კატეგორიაში (ფორმალური კვალიფიკაციის შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით მიიღო შეფასება „კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნებს“; II კატეგორიაში (პედაგოგიური გამოცდილების შესაბამისობა ვაკანსიის პროფილთან) მიიღო მაღალი შეფასება; III კატეგორიაში (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა) მიიღო მაღალი შეფასება; IV კატეგორიის (ბოლო 6 წელიწადში სხვა აქტივობა) ორივე ნაწილში კონკურსანტმა მიიღო მაღალი შეფასება (იხ. ოქმი №2). გასაუბრების ეტაპზე კომისიამ შეაფასა პრეტენდენტის პროფესიული უნარ-ჩვევები, გადმოცემისა და მსჯელობის კულტურა, ქცევისა და მეტყველების მანერა. გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ პრეტენდენტის კანდიდატურა სრულ შესაბამისობაშია გამოცხადებული ვაკანსიის მოთხოვნებთან (იხ. ოქმი №3). გამოცხადებულ ვაკანსიაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად კომისიის ყველა წევრმა (5 მომხრე, არცერთი მოწინააღმდეგე) დაუჭირა მხარი ანა ლეთოდიანის კანდიდატურას.

დაადგინეს: ს(ს)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე თეორიული და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტში ასისტენტ პროფესორის 1 ვაკანსიაზე გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა: **ანა ლეთოდიანი**

კომისიის თავმჯდომარე: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი,
ირმა რატიანი



მოდგილე: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
ეკატერინე ნავროჯაშვილი



წევრები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო
უნივერსიტეტის პროფესორი, მარიამ შირესაშვილი



თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე
ბრეგაძე



კომისიის მდივანი: თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოც. პროფესორი
სილომონ ტაბუცაძე



თარიღი: 02.03.2023